<b>2022 წლის 31 დეკემბრისთვის</b>	<b>960,110</b>	<b>440,036</b>	<b>1,400,146</b>
<b>დაგროვილი ამორტიზაცია</b>			
<b>2021 წლის 1 იანვრისთვის</b>	<b>(268,447)</b>	<b>(232,695)</b>	<b>(501,142)</b>
ამორტიზაცია	(172,523)	(15,856)	(188,379)
<b>2021 წლის 31 დეკემბრისთვის</b>	<b>(440,970)</b>	<b>(248,550)</b>	<b>(689,520)</b>
ამორტიზაცია	(279,339)	(29,367)	(308,706)
<b>2022 წლის 31 დეკემბრისთვის</b>	<b>(720,309)</b>	<b>(277,917)</b>	<b>(998,226)</b>
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>			
<b>2021 წლის 31 დეკემბრისთვის</b>	<b>506,529</b>	<b>162,338</b>	<b>668,868</b>
<b>2022 წლის 31 დეკემბრისთვის</b>	<b>239,801</b>	<b>162,118</b>	<b>401,919</b>

**14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022, 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 1 იანვარი
გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნები	56,461	2,258,129	1,112,963
<b>სულ გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნები</b>	<b>56,461</b>	<b>2,258,129</b>	<b>1,112,963</b>
მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები	4,353,011	1,899,925	2,679,174
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	-	-	146,230
გაუფასურების რეზერვი	(1,013,838)	(831,576)	(183,959)
<b>სულ მიმდინარე სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b>	<b>3,339,173</b>	<b>1,068,349</b>	<b>2,641,445</b>

\*გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს საგარანტიო თანხებს, სამშენებლო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით.

ფინანსური აქტივების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია 21-ე შენიშვნაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საეჭვო ვალების რეზერვი და რეზერვის დასათვლელად გამოყენებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს:

2022	ვადაგადაცილება						სულ
	მიმდინარე	30-60	61 - 120	121 - 180	181 - 365	მეტი 365	
მოსალოდნელი ზარალების							
საბალანსო ღირებულება	80,002	70,887	20,972	84,437	16,448	951,907	<b>1,224,653</b>
გაუფასურების რეზერვი	800	4,253	3,146	42,218	11,514	951,907	<b>1,013,838</b>

**შპს „პრაიმ ბეტონი“**  
**ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები**  
**2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**  
*(ქართულ ლარში)*

**14.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საექვო ვალების რეზერვი და რეზერვის დასათვლელად გამოყენებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს:

2021 გადაანგარიშებული	ვადაგადაცილება						სულ
	მიმდინარე	30-60	61 - 120	121 - 180	181 - 365	მეტი 365	
მოსალოდნელი ზარალების							
საბალანსო ღირებულება	34,733	90,298	1,187	31,556	66,213	763,506	<b>987,493</b>
გაუფასურების რეზერვი	347	5,418	178	15,778	46,349	763,506	<b>831,576</b>

კოლექტიური მეთოდით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, კომპანიამ დააჯგუფა ერთი და იგივე საკრედიტო რისკის და ხანდაზმულობის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. იმის გათვალისწინებით რომ ფასს-9 ზე გადასვლის ეფექტი იყო არაარსებითი, კომპანიას არ გაუკეთებია შესაბამისი კორექტირება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განსაზღვრულია კომპანიის ისტორიული განაკვეთებით 3 წლის განმავლობაში. კომპანიამ გამოიყენა გამონაკლისი ფასს 9 ის ბ5.5.50 პუნქტის მიხედვით და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის არ გამოიყენა საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელი ფაქტორები. ისტორიული განაკვეთები არ არის დაკორექტირებული მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ფაქტორებით, რომლებიც გავლენას ახდენენ კომპანიის მომხმარებელზე.

კომპანიამ დანერგა ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, რომლისთვისაც გამოიყენა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები ფინანსური ინტელუმენტების მიმართ კომპანია აფასებს ისეთი მეთოდით, რომელიც ასახავს: მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით; ფულის დროითი ღირებულების; გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021	2020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვი 1 იანვარს	<b>(831,576)</b>	<b>(183,960)</b>	(452,048)
რეზერვის ზრდა	(339,344)	(765,653)	(171,003)
ზარალების ამობრუნება	157,082	118,037	439,091
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვი 31 დეკემბერს	<b>(1,013,838)</b>	<b>(831,576)</b>	<b>(183,960)</b>

**15. მარაგები**

კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარაგები 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგია:

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 1 იანვარი
სამშენებლო მასალები	2,351,021	1,839,836	5,858,935
სათადარიგო ნაწილები	912,731	679,237	504,895
საწვავი	220,697	152,734	122,542
სხვა	42,855	21,410	59,959
<b>სულ მარაგები</b>	<b>3,527,304</b>	<b>2,693,217</b>	<b>6,546,332</b>

**შპს „პრაიმ ბეტონი“**  
**ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები**  
**2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**  
*(ქართულ ლარში)*

**15. მარაგები (გაგრძელება)**

2022 წლის განმავლობაში, კომპანიამ აღიარა წმინდა გაუფასურების ზარალი 0 ლარის ოდენობით (2021: 181,628,200: 14,353 ლარი) გაყიდვის თვითღირებულებაში (შენიშვნა 7) მარაგებთან დაკავშირებით. სასაქონლო მატერიალური მარაგები არ არის დატვირთული მესამე პირის სასარგებლოდ.

**16. გაცემული სესხები**

კომპანიის გადახდილი გაცემული სესხები 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგია:

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 1 იანვარი
სმარტ დეველოპმენტი	175,759	211,040	
გიორგი ახვლედიანი	64,507	137,613	145,191
ბიმესონი	13,000	-	-
ფუდმარტი	4,035	-	-
<b>სულ მარაგები</b>	<b>257,301</b>	<b>348,653</b>	<b>145,191</b>

**17. გადახდილი ავანსები**

კომპანიის გადახდილი ავანსები 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგია:

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 1 იანვარი
მომწოდებლებთან გადახდილი ავანსები	1,256,050	2,163,949	1,355,919
თანამშრომლებზე გადახდილი ავანსები	13,554	8,630	146,230
საექვო ვალების რეზერვი	(566,082)	(424,741)	(410,733)
<b>სულ გადახდილი ავანსები</b>	<b>703,522</b>	<b>1,747,838</b>	<b>1,091,416</b>

2022 და 2021 წლის გადახდილი ავანსების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 1 იანვარი
<b>გადახდილი ავანსების რეზერვი 1 იანვრისთვის</b>	<b>(424,740)</b>	<b>(410,732)</b>	<b>(388,200)</b>
რეზერვის ზრდა	(141,342)	(14,751)	(22,533)
ზარალის ამობრუნება	-	742	-
<b>გადახდილი ავანსების რეზერვი 31 დეკემბრისთვის</b>	<b>(566,082)</b>	<b>(424,741)</b>	<b>(410,733)</b>

**18. ფული და ფულის ექვივალენტები**

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგია:

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 1 იანვარი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,351,201	397,158	47,347
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	8	-	-
შეზღუდული ფული*	-	1,548,800	2,457,450
სალარო (ლარი)	-	258,877	17,162
<b>სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები</b>	<b>1,351,209</b>	<b>2,204,835</b>	<b>2,521,959</b>



**შპს „პრაიმ ბეტონი“**

**ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები**

**2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

(ქართულ ლარში)

**18. ფული და ფულის ექვივალენტები (გაგრძელება)**

მოთხოვნამდე საბანკო ბალანსები 1,351,209 ლარის ოდენობით განთავსებული იყო „BB-“ რეიტინგის მქონე ბანკებში ფიჩის რეიტინგის მიხედვით (2021 წლის 31 დეკემბერი: 397,158 ლარი).

“შეზღუდული ფულადი საშუალებები მოიცავს დეპოზიტებს ფინანსური ინსტიტუტებისგან აღებული შესრულების და საავანსო გარანტიების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული გარანტიები დაკავშირებულია შპს „პეის ტერმინალთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებასთან, ფოთის პორტის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად.

**19. მიღებული სესხები და საიჯარო ვალდებულებები**

კომპანიის მიღებული სესხები და საიჯარო ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვარის მდგომარეობით შემდეგია:

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 1 იანვარი
<b>გრძელვადიანი მიღებული სესხები</b>			
სს პროკრედიტ ბანკი	2,461,877	3,916,957	4,779,943
ფინანსური იჯარა	1,229,886	1,132,312	1,543,430
სს პაშა ბანკი	378,307	718,550	-
ფიზიკური პირები	100,076	-	-
საქართველოს ბანკი	257,816	-	-
გაზელს ფინანს ჯორჯია	-	-	260,343
	<b>4,427,962</b>	<b>5,767,819</b>	<b>6,583,716</b>

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 1 იანვარი
<b>მოკლევადიანი მიღებული სესხები</b>			
საქართველოს ბანკი	3,605,155	-	655,320
სს პროკრედიტ ბანკი	3,556,885	3,496,529	3,301,706
გაზელს ფინანს ჯორჯია	-	791,720	2,538,430
სს პაშა ბანკი	471,689	1,436,179	-
ფიზიკური პირები	228,381	322,737	514,098
ფინანსური იჯარა	774,021	304,868	911,974
	<b>8,636,131</b>	<b>6,352,033</b>	<b>7,921,528</b>

ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხების დაფარვა მოხდება 2025 წლამდე, ხოლო ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხების - 2026 წლამდე. საპროცენტო განაკვეთები ყველა სესხისთვის არის ფიქსირებული და მერყეობს ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებისთვის 5.5%-27.5 % -მდე, დამფუძნებლისგან მიღებულ სესხზე 12%,.

ძირითადი საშუალებები ჩადებულია მიღებული სესხებისა და ფინანსური ლიზინგის უზრუნველყოფაში (დეტალები განმარტებულია მე-11 შენიშვნაში).

მიღებული სესხების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია 21-ე შენიშვნაში.

ფინანსური ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებების მოძრაობა:

სესხების მოძრაობა	2022	2021	2020
<b>1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>12,119,852</b>	<b>14,505,244</b>	<b>14,150,166</b>
ფასს 16-ის ეფექტი			
სესხის აღება	20,179,640	17,403,270	6,905,080
სალიზინგო ვალდებულების ზრდა ფასს 16-ის მიხედვით	1,690,900	1,278,878	-
გადახდილი ძირი	(18,823,551)	(18,552,200)	(7,124,937)

**შპს „პრაიმ ბეტონი“**

**ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები**

**2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

(ქართულ ლარში)

<b>19. მიღებული სესხები (გაგრძელება)</b>			
სალიზინგო ვალდებულების გადახდა	(854,526)	(2,242,977)	(1,239,911)
გადახდილი პროცენტი	(1,710,976)	(1,229,348)	(1,487,124)
პროცენტის კაპიტალიზაცია		258,240	207,385
საიჯარო ვალდებულების მოდიფიკაცია		-	36,519
საკურსო სხვაობების ეფექტი	(1,442,918)	(640,726)	1,340,508
საპროცენტო ხარჯი ბანკი	1,905,671	1,339,471	1,717,558
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დანეტება	-	-	-
<b>სულ მიღებული სესხები</b>	<b>13,064,092</b>	<b>12,119,852</b>	<b>14,505,244</b>

**20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგია:

	<b>2022 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>2021 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>2021 წლის 1 იანვარი</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>			
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	3,987,999	4,928,403	7,228,439
სახელფასო ვალდებულებები	80,058	371,898	231,458
სხვა ვალდებულება	-	-	-
	<b>4,068,057</b>	<b>5,300,301</b>	<b>7,459,897</b>

	<b>2022 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>2021 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>2021 წლის 1 იანვარი</b>
<b>არაფულადი ვალდებულებები</b>			
საგადასახადო ვალდებულებები	1,102,325	589,626	1,457,361
მიღებული ავანსები	277,048	259,872	-
	<b>1,379,373</b>	<b>849,498</b>	<b>1,457,361</b>
<b>სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</b>	<b>5,447,430</b>	<b>6,149,799</b>	<b>8,917,258</b>

**21. საწესდებო კაპიტალი**

	<b>2022 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>2021 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>2021 წლის 1 იანვარი</b>
<b>საწესდებო კაპიტალი</b>			
საწესდებო კაპიტალი	1,007,412	1,007,412	3,450,312
<b>სულ ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი</b>	<b>1,007,412</b>	<b>1,007,412</b>	<b>3,450,312</b>

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შემცირდა 2021 წლის განმავლობაში ფულადი ფორმით 2,442,900 ლარით.

**დივიდენდები**

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, ფასს-ის შესაბამისად მომზადებულ კომპანიის ნორმატიულ ფინანსური ანგარიშგებაში განსაზღვრის შესაბამისად.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობდა გაუნაწილებელი მოგებას 8,296,640 ოდებობით (2021 წლის 31 დეკემბრის: 8,495,775 ლარი; 2021 წლის 1 იანვარს: 10,135,382 ლარი). კომპანიამ 2021 წლის განმავლობაში გასცა 3,405,350 ლარის დივიდენდი.

**22. ფინანსური რისკი**

**ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები**

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. მენეჯმენტი ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობის შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიას საკრედიტო რისკი ძირითადად წარმოემდგება, როდესაც ხდება კრედიტით გაყიდვები. კომპანიის საკრედიტო პოლიტიკით

განსაზღვრულია ის აუცილებელი პროცედურები რაც უნდა ჩატარდეს საკრედიტო რისკის გასაწესებლად, კონტრაქტის გაფორმებამდე.

მენეჯმენტმა შეიმუშავა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის თანახმადაც ხდება ყოველი ახალი კლიენტის კრედიტუნარიანობის ანალიზი, სანამ მოხდება კლიენტისთვის კომპანიის სტანდარტული გადახდის და მიწოდების ვადების და პირობების შეთავაზება.

მენეჯმენტი საკრედიტო რისკის მოცულობას ადგენს დებიტორული დავალიანების ყოველთვიური ვადიანობის ანალიზით.

კომპანიის მაქსიმალური თანხა საკრედიტო რისკის მიმართ აქტივების კლასით აისახება ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში:

	2022	2021
<b>სავაჭრო მოთხოვნები</b>		
გაცემული სესხები	257,302	348,653
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,395,633	3,326,478
შეზღუდული ფული	-	-
<b>ფული და ფულის ექვივალენტები</b>		
ფული ბანკში	1,351,209	656,035
შეზღუდული ფული	-	-
<b>სულ მაქსიმალური გავლენა რისკის მიმართ</b>	<b>5,004,144</b>	<b>4,331,166</b>

კომპანიის მენეჯმენტი განიხილავს გადაუხდელი სავაჭრო მოთხოვნების ხანდაზმულობის ანალიზს და მიჰყვება ვადაგადაცილებულ ბალანსებს. მენეჯმენტი შესაბამისად სათანადოდ მიიჩნევს, წარმოადგინოს ხანდაზმულობის და სხვა ინფორმაცია საკრედიტო რისკის შესახებ, როგორც გადმოცემულია შენიშვნაში 14.

**საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკების მიმართ მგრძობელობა დაფუძნებულია ერთი ფაქტორის ცვლილებაზე ყველა სხვა ფაქტორების მუდმივად შენარჩუნების ფონზე. პრაქტიკაში ეს ნაკლებად სავარაუდოა რომ მოხდეს და ზოგიერთი ფაქტორის ცვლილება შესაძლოა იყოს კორელაცია - მაგალითად, ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში და ცვლილებები უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთში.

**შპს „პრაიმ ბეტონი“**

**ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები**

**2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის**

(ქართულ ლარში)

**22. ფინანსური რისკი (გაგრძელება)**

**სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

2022	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
<b>ფინანსური აქტივები</b>				
გაცემული სესხები	257,302	-	-	257,302
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	503,255	2,948,839	-	3,452,094
ფული და ფულის ექვივალენტები	1,351,202	8	-	1,351,210
	<b>2,111,759</b>	<b>2,948,847</b>	-	<b>5,004,144</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>				
მიღებული სესხები	4,720,621	7,960,554	382,917	13,064,092
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,600,941	849,283	720,173	5,170,397
	<b>8,321,562</b>	<b>8,809,837</b>	<b>1,103,090</b>	<b>18,234,489</b>
<b>ღია საბალანსო პოზიცია</b>	<b>(6,209,803)</b>	<b>(5,860,990)</b>	<b>(1,103,090)</b>	<b>(13,173,883)</b>

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

2021	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
<b>ფინანსური აქტივები</b>				
გაცემული სესხები	348,653	-	-	348,653
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,065,122	2,261,356	-	3,326,478
ფული და ფულის ექვივალენტები	258,877	396,220	938	656,035
შეზღუდული ფულადი სახსრები		1,548,800		1,548,800
	<b>1,672,652</b>	<b>4,206,376</b>	<b>938</b>	<b>5,879,966</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>				
მიღებული სესხები	5,767,864	4,296,025	2,055,963	12,119,852
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,478,912	1,202,246	1,173,735	5,854,893
	<b>9,246,776</b>	<b>5,498,271</b>	<b>3,229,698</b>	<b>17,974,745</b>
<b>ღია საბალანსო პოზიცია</b>	<b>(7,574,124)</b>	<b>(1,291,895)</b>	<b>(2,701,083)</b>	<b>(11,567,102)</b>

**სავალუტო რისკის მგრძობელობა**

მოცემული ცხრილი წარმოადგენს მოგება/ზარალის და კაპიტალის მგრძობელობას გაცვლით კურსში მოსალოდნელი გონივრული ცვლილებების მიმართ, რომელიც გამოყენებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებაში, იმის ფონზე, რომ ყველა სხვა ცვლადი რჩება მუდმივი:

	2022	2022	2021	2021
	+20%	-20%	+20%	-20%
<b>სავალუტო რისკის მგრძობელობა</b>				
აშშ დოლარის ეფექტი (ზარალი) მოგება	(1,172,198)	1,172,198	258,379	(258,379)
ევროს ეფექტი (ზარალი) მოგება	(220,618)	220,618	540,217	(540,217)

**შპს „პრაიმ ბეტონი“**

**ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები**

**2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

(ქართულ ლარში)

**22. ფინანსური რისკი (გაგრძელება)**

**საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე.

კომპანიის ყველა მნიშვნელოვანი აქტივი და ვალდებულება მიბმულია ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე, შედეგად კომპანიას მინიმუმამდე აქვს დაყვანილი საპროცენტო რისკი ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან მიმართებაში.

**ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური დაფინანსების ბაზა, რომელიც უპირატესად სესხებისგან შედგება. კომპანია სახსრებს აბანდებს ლიკვიდური აქტივების დივერსიფიცირებულ პორტფელში, რათა შემდგომ სწრაფად და უმტკივნეულოდ მოახდინოს რეაგირება გაუთვალისწინებელ ლიკვიდურობის მოთხოვნებზე. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი შედგება ფულადი საშუალებების და მისი ექვივალენტებისგან (შენიშვნა 19). მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ფულადი საშუალებების ლიკვიდურობის პორტფელი შესაძლოა რეალიზდეს ნაღდ ფულზე ერთი დღის განმავლობაში, რათა დააკმაყოფილოს გაუთვალისწინებელი ლიკვიდურობის მოთხოვნები.

ვადიანობის ცხრილში მოცემული თანხები არის სახელმეკრულებო არადისკონტირებული ფულადი ნაკადები. აღნიშნული არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მოცემული თანხებისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ეყრდნობა დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გადახდები დაკონვერტირებულია სპოტ სავალუტო კურსით საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

<b>2022</b>	<b>ერთ წლამდე</b>	<b>1-დან 5 წლამდე</b>	<b>სულ</b>
<b>ფინანსური აქტივები</b>			
გაცემული სესხები	203,302	54,000	<b>257,302</b>
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,339,172	56,461	<b>3,395,633</b>
ფული ბანკში	1,351,209	-	<b>1,351,209</b>
	<b>4,893,683</b>	<b>110,461</b>	<b>5,004,144</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>			
მიღებული სესხები	8,636,130	4,427,962	<b>13,064,092</b>
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,170,397	-	<b>5,170,397</b>
	<b>13,806,527</b>	<b>4,427,962</b>	<b>18,234,489</b>
<b>ლიკვიდურობის სხვაობა</b>			
<b>აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა</b>	<b>(8,912,844)</b>	<b>(4,317,501)</b>	<b>(13,230,345)</b>

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

<b>2021</b>	<b>ერთ წლამდე</b>	<b>1-დან 5 წლამდე</b>	<b>სულ</b>
<b>ფინანსური აქტივები</b>			
გაცემული სესხები	137,613	211,040	<b>348,653</b>
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,068,349	2,258,129	<b>3,326,478</b>
შეზღუდული ფულადი საშუალებები	1,548,800	-	<b>1,548,800</b>
ფული ბანკში	656,035	-	<b>656,035</b>
	<b>3,410,797</b>	<b>2,469,169</b>	<b>5,879,966</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>			
მიღებული სესხები	5,415,569	6,704,283	<b>12,119,852</b>
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,854,893	-	<b>5,854,893</b>

**22. ფინანსური რისკი (გაგრძელება)**

	11,270,462	6,704,283	17,974,745
ლიკვიდურობის სხვაობა			
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	(7,859,665)	(4,235,114)	(12,094,779)

**კაპიტალის მართვა**

კომპანიის კაპიტალი მოიცავს ჩვეულებრივ საწესდებო კაპიტალს და დაგროვილ გაუნაწილებელ მოგება/ზარალს. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მისი როლი, როგორც კორპორატიული ხელმძღვანელების, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კაპიტალის შენარჩუნებაზე და ზრდაზე, ასევე მფლობელებისთვის ადეკვატური შემოსავლის მიღებაზე.

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს აქციონერებისათვის სარგებლის მოტანა; და

გამოიმუშაოს აქციონერებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად მომსახურების შეფასებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

**საოპერაციო გარემო**

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ბარიზირებულია საქართველოში, ვინაიდან ქვეყანაში ბიზნეს გარემოზე მოქმედი კანონმდებლობა სწრაფად იცვლება, პოლიტიკურ და ბიზნეს გარემოში უარყოფითმა ცვლილებებმა შეიძლება რისკებზე დააყენოს კომპანიის აქტივები და ოპერაციები.

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს გავითარებულ ბაზრებზე, მათ შორის ეკონომიკური, საგადასახადო, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტიანობაზე, საკანონმდებლო რეგულირების და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

**23. პირობითი ვალდებულებები**

**საგადასახადო კანონმდებლობა**

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველა, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**23. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)**

**სასამართლო დავები**

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულების სახით ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

**24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან**

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

- ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.
- ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ინფორმაცია 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთებისა და ტრანზაქციების შესახებ.

	2022	2021
<b>საერთო კონტროლის ქვეშ</b>		
<b>ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება</b>		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	161,113	-
გადახდილი ავანსები	75,677	66,125
<b>სრული შემოსავლის ანგარიშგება</b>		
შეძენილი მარაგები	70,044	196,245
საქონლის რეალიზაცია	88,881	-
მარკეტინგული და მიწოდების ხარჯები	-	-
	<b>31 დეკემბერი 2022</b>	<b>31 დეკემბერი 2021</b>
<b>ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება</b>		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	33,251	-
გაცემული სესხები	240,267	339,500
მიღებული სესხები	141,185	132,180
	<b>2022</b>	<b>2021</b>
<b>სრული შემოსავლის ანგარიშგება</b>		
ხელფასები / უმაღლესი ხელმძღვანელობა	490,549	2,050,470

## 25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას:

- კომპანიამ 2023 წლის განმავლობაში ფინანსური ინსტიტუტებიდან აიღო 2,278,000 ლარის და 110,000 დოლარის სესხები და გადაიხადა სესხის ძირი 357,200 ლარის, 207,600 დოლარის და 18,400 ევროს ოდენობით.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.



**შპს „პრაიმ ბეტონი“  
მმართველობის ანგარიშგება**

**საქმიანობის მიმოხილვა**

პრაიმ ბეტონი არის ინფრასტრუქტურის მშენებლობის და სამშენებლო მასალების მწარმოებელი კომპანია, რომელიც ოპერირებს საქართველოს მასშტაბით. ჩვენი სპეცილიზაცია საპორტო, საგზაო, ინდუსტრიული და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის პროექტირება და მშენებლობა, ასევე ბეტონის, ინერტული მასალების და ბეტონის ანაკრები კონსტრუქციების წარმოება.

**მშენებლობა**

სამშენებლო ინდუსტრიაში ვსპეციალიზირდებით შემდეგ მიმართულებებში:

- საპორტო და ჰიდროტექნიკური მშენებლობა;
- წყალ მომარაგების და წყალარინების ინფრასტრუქტურა;
- საავტომობილო გზები;
- სხვა სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა.

კომპანია ახორციელებს როგორც ე.წ. EPC, ასევე მშენებელ კონტრაქტორის ხელშეკრულებებს. ხელშეკრულების ფარგლებში ვაწარმოებთ:

- პროექტის მენეჯმენტს (დაგეგმარებას, შესრულებას და კონტროლს);
- დიზაინს;
- შესყიდვების ლოჯისტიკას.

სამშენებლო სამუშაოებში, ჩვენი სპეციალიზირებაა:

- საზღვაო სამშენებლო სამუშაოები
- რკინა ბეტონის სამუშაოები (ყალიბის და არმირების დამზადება, ბეტონის დაყალიბება);
- მიწის სამუშაოები (გრუნტის გადაადგილება, სტაბილიზაცია, ფუნდამენტის მოწყობა);
- ბეტონის საგზაო საფარის სამუშაოები;
- ელექტრო და მექანიკური სამონტაჟო სამუშაოები.

**წარმოება**

კომპანიის სპეციალიზაციაა ბეტონის და ინერტული მასალების წარმოება, როგორც საკუთარი სამშენებლო პროექტებისთვის, ასევე გარე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. უნდა აღნიშნოს, რომ ამჟამად წარმოების მოცულობის 60%-ზე მეტი შიდა პროექტებზეა ორიენტირებული.

კომპანიის საწარმოო სიმძლავრეები კონცენტრირებულია სამეგრელოს რეგიონში, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწარმოო სიმძლავრეები შემდეგნაირად იყო განაწილებული:

ლოკაცია	პროდუქცია / მომსახურება	წარმადობა
ფოთი	ყველა ტიპის ბეტონის წარმოება; სამშენებლო ლაბორატორიის მომსახურება; ბეტონის ტუმბოს მომსახურება.	95 მ <sup>3</sup> /სთ

**შპს „პრაიმ ბეტონი“**  
**მმართველობის ანგარიშგება**  
**2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**  
*(ქართულ ლარში)*

ლოკაცია	პროდუქცია / მომსახურება	წარმადობა
ფოთი - APM ტერმინალი	ყველა ტიპის ბეტონის წარმოება; ბეტონის ტუმბოს მომსახურება.	60 მ <sup>3</sup> /სთ
ხობი	ინერტული მასალების წარმოება; მასალების ლოჯისტიკა.	200-250 ტ/სთ

ასევე, კომპანია დამატებით 3 ბეტონის ქარხანას ჯამური წარმადობით 125 მ<sup>3</sup>/სთ რომელთა გამოყენება შესაძლებელია სამშენებლო ობიექტებზე ბეტონის ადგილზე წარმოებისათვის, 28 აპრილის მდგომარეობით ამ 3 ქარხნიდან ერთ-ერთი წარმადობით 60 მ<sup>3</sup>/სთ იმყოფება ზუგდიდში საგზაო პროექტების ბეტონით მომარაგების უზრუნველსაყოფად. კომპანია, ასევე ფლობს მობილურ სამსხვრევ ქარხანას წარმადობით 180-200 ტ/სთ რომელიც საჭიროების შემთხვევაში, ასევე შესაძლოა იქნეს გამოყენებული სამშენებლო ობიექტის ადგილზე ინერტული მასალების საწარმოებლად.

წარმოების სფეროში კომპანია აქცენტს აკეთებს სპეციფიკური დანიშნულების ე.წ საინჟინრო ბეტონზე, რომელიც გამოიყენება საზღვაო მშენებლობასა და მიწისქვეშა აპლიკაციებში, ასევე ანაკრები კონსტრუქციების წარმოებაში. კომპანია აწარმოებს სხვადასხვა ტიპის ანაკრებ კონსტრუქციებს, როგორც საგზაო ასევე საზღვაო მშენებლობის მიზნებისთვის.

**მისია**

ჩვენი მისიაა - ევროპული ინფრასტრუქტურის მშენებლობა;  
 ჩვენი ხედვაა, ინოვაციური სამშენებლო სერვისებით და საინჟინრო ცოდნით შევქმნათ დამატებითი ღირებულება მდგრადი ინფრასტრუქტურის მშენებლობაში.

პრაიმ ბეტონში ვიყენებთ Lean მენეჯმენტის მიდგომებს, ვახალისებთ თანამშრომლობაზე და გაზიარებაზე დაფუძნებულ კულტურას, ვგეგმავთ დეტალურად და ვაშენებთ ფასეულობას მნიშვნელოვანი რესურსებისადმი ფრთხილი დამოკიდებულებით.

პრაიმ ბეტონში ძალიან ვაფასებთ ინოვაციურობას და განვითარების უწყვეტობას. ამ მიზნით ჩვენ ვახალისებთ ჩვენს თანამშრომლებს ახალი ტექნოლოგიების და პროცესების განვითარებისთვის და დანერგვისთვის. ასევე ვავითარებთ მტკიცე ურთიერთობებს საერთაშორისო პარტნიორებთან ტექნოლოგიების მოზიდვისთვის და ცოდნის გაღრმავებისთვის.

პრაიმ ბეტონში ვაყალიბებთ მრავალფეროვნებაზე და ინკლუზიურობაზე დაფუძნებულ სამუშაო კულტურას, რომელშიც ყველა თანამშრომელი ხელს უწყობს შემოქმედებით იდეებს, ეძებს გამოწვევებს და ყველას აქვს ზრდის შესაძლებლობა.

პრაიმ ბეტონში გვესმის ჩვენი საქმიანობის გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ზემოქმედება და რომ ჩვენი პასუხისმგებლობაა:

- ვაწარმოოთ ჩვენი ბიზნესი გამჭვირვალე და ეთიკური გზით;
- ვიზრუნოთ საზოგადოების კეთილდღეობაზე;
- ვიზრუნოთ გარემოზე (ფლორასა და ფაუნაზე);
- ვიზრუნოთ თანამშრომლების უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზე;

სამშენებლო ინდუსტრიაში, ჩვენი მომხმარებლები არიან ადგილობრივი სამშენებლო პროექტებიცა და მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში ჩართული საერთაშორისო კონსორციუმებიც. ჩვენი კომპანია აკმაყოფილებს მათ ძირეულ მოთხოვნებს, უზრუნველყოფს რა მისაღებ ფასებს და შესრულებული სამუშაოების მაღალ ხარისხს, აუცილებელი რესურსების

ხელმისაწვდომობასა და პროექტების მართვის ეფექტიანობას.

საერთაშორისო ინფრასტრუქტურულ პროექტებში მეტი კონკურენტუნარიანობისთვის:

- ვქმნით მსხვილ საერთაშორისო მოთამაშებთან სტრატეგიულ კავშირებს;
- ვზრუნავთ საკუთარ რეპუტაციაზე და ვამლიერებთ მარკეტინგს.

სამშენებლო მომსახურების სრული ციკლის მიწოდების შესაძლებლობის შესაქმნელად, ვამყარებთ სტრატეგიულ საპარტნიორო ურთიერთობას მომწოდებლებსა და საპროექტო ორგანიზაციებთან, ამავდროულად კი, ვავითარებთ პროექტირებისა და დიზაინის შიდა შესაძლებლობებს.

სამშენებლო მასალების შეძენისას, ჩვენი მომხმარებლები არიან კომერციული კომპანიები, კერძო გამშენებლები და ფიზიკური პირები. ჩვენ ვაკმაყოფილებთ მათ მოთხოვნილებას, უზრუნველყოფთ რა მისაღებ ფასებს, მიწოდების სისწრაფესა და ხელმისაწვდომობას, ნაწარმის კარგ ხარისხსა და დამატებითი მომსახურების გაწევას.

ჩვენი კომპანია ავითარებს დამატებითი ღირებულების მქონე ბეტონის ნაწარმის ხაზს, ამავდროულად კი იზრდება ჩვენი შესაძლებლობა დავაკმაყოფილოთ ჩვენი მომხმარებლის ბეტონის შეძენის მოთხოვნილება. ამ მიზნით:

- ვახორციელებთ ფასების ოპტიმიზაციას საწარმოო პროცესების გაუმჯობესების ხარჯზე;
- გამუდმებით ვამცირებთ ხარჯებს;
- ვავითარებთ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას ბეტონის მიწოდების დასაჩქარებლად;
- ვაფართოვებთ მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ასორტიმენტს;
- ვავითარებთ ბეტონის ნაწარმისა და რკინა-ბეტონის ასაწყობი კონსტრუქციების წარმოებას.

დარგის ტექნოლოგიური განვითარების აჩქარების გათვალისწინებით:


- ვავითარებთ კომპანიის ინოვაციურობას და ვზრდით ტექნოლოგიურ უნარებს;
- ვსწავლობთ შენებისა და მასალის წარმოების მაღალტექნოლოგიურ მეთოდებს და ვწერგავთ მათ ჩვენს მომხმარებელთან ერთად;
- კავშირებს ვამყარებთ მაღალტექნოლოგიური მასალების წარმოებისა და მშენებლობის მეთოდოლოგიის სფეროს წამყვან საერთაშორისო კომპანიებთან.

ეკონომიკური არამდგრადობისა და ბაზრების მერყეობის საფრთხეების აღმოსაფხვრელად:

- ვეძებთ კაპიტალის უფრო იაფ და მრავალფეროვან წყაროებსა და დაფინანსების საშუალებებს;
- ვზრდით საკუთარ კაპიტალს;
- ვეძებთ ახალ ბაზრებს და მეტად ვერთვებით საერთაშორისო პროექტებში;
- ზედმიწევნით ვახდენთ საკუთარი საქმიანობის ბიუჯეტირებას და ვაკონტროლებთ ფულად ნაკადებს;
- კონტრაქტების დადებისას, ვახდენთ სავალიუტო რისკების ჰეჯირებას;

**დამფუძნებელთა სტრუქტურა და კორპორატიული მართვა**

კომპანიის დამფუძნებელთა სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:




კერძო პირები - გიორგი ახვლედიანი, ზურაბ დავლიანიძე და ალექსანდრე სოკოლოვსკი არიან დამფუძნებელი პარტნიორები. მათივე თანაბარ წილობრივ მფლობელობაშია პრაიმ მენეჯმენტ კომპანი. ალექსანდრე სოკოლოვსკი ასრულებს „პრაიმ ბეტონის“ მმართველი პარტნიორის და გენერალური დირექტორის მოვალეობას.

კერძო პირი ლაშა ჭიკაშვილი, კომპანიის პარტნიორებს შემოემატა 2017 წელს, როგორც მმართველი პარტნიორი. ლაშა ჭიკაშვილი ხელმძღვანელობს კომპანიის სამშენებლო დეპარტამენტს.

კომპანიის მართვის ორგანოებს წარმოადგენენ დამფუძნებელთა საბჭო და დირექტორთა საბჭო, გენერალური დირექტორის ხელმძღვანელობით. მათ შორის ურთიერთობის დელეგირება წესდებისა და შიდა მმართველობითი შეთანხმების მიხედვით.

**ადამიანური რესურსები**

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა შეადგენს 251 ადამიანს, შემდეგი სტრუქტურით:



მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საშუალო და მაღალი კვალიფიკაციის ტექნიკური პერსონალის მოზიდვა, ამ პერსონალის შრომით ბაზარზე არსებული დეფიციტის გამო.

ასევე, ინდუსტრიის გამოწვევად რჩება გენდერული ბალანსის გამოსწორება, ქალი პერსონალის მოზიდვა.

**ფინანსური მაჩვენებლები**

შემოსავალი ბიზნეს მიმართულებების მიხედვით შემდეგნაირადაა გადანაწილებული:

	2022	2021
სამშენებლო კონტრაქტები	17,828,546	38,057,553
ბეტონის, ქვიშისა და ლორღის რეალიზაცია	2,860,490	1,713,983
სამშენებლო მასალების რეალიზაცია	5,079,569	-
საიჯარო შემოსავალი	1,218,556	16,949
სხვა შემოსავალი	244,987	159,819
	<b>27,232,147</b>	<b>39,937,082</b>

2022 წელს კომპანიის წმინდა ზარალმა შეადგინა 290,360 ლარი.

2022 წელს 2021 წლებში საოპერაციო მოგების კოეფიციენტები არის შემდეგი (2022: 4.73%, 2021: 7.45%)

შპს „პრაიმ ბეტონი“  
 მმართველობის ანგარიშგება  
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ქართულ ლარში)

ძირითადი კოეფიციენტები გამოიყურება შემდეგნაირად:

	2022	2021
საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი (Current Ratio)	0.56	0.57
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Quick Ratio)	37%	40%
ერთობლივი მოგების მარჟა (Gross Profit Margin)	13%	19%
წმინდა მოგების მარჟა (Net Profit Margin)	-1.12%	4.42%

2018 წელს ნაყოფიერი მარკეტინგული და გაყიდვების აქტივობების შედეგად, მნიშვნელოვანი ზრდა მივიღეთ 2019 -2020 წლებში შესასრულებელ პროექტებში, პანდემიის მიუხედავად კომპანიის 2021 წელს შესრულებული პროექტებიც სტაბილურად გამოიყურება და მნიშვნელოვნად არ შემცირებულა, 2022 წელს დასრულებული და მიმდინარე პროექტები წარმოდგენილია ამ გვერდზე მოცემულ ცხრილში:

პროექტი	დასახელება	ვალუტა	ხელშეკრულების ღირებულება დღგ ჩათვლით	ხელშეკრულების ღირებულება დღგ გარეშე	შესრულებული სამუშაოების ღირებულება 2022-ის ბოლოს დღგ-ს გარეშე
პეისი	პორტის რეალბილიტაცია	USD	23,357,328	19,794,346	19,794,346
ზერაგია	გზის მშენებლობა	GEL	824,211	698,484	252,169
ნიკოლაძე	გზის მშენებლობა	GEL	2,295,065	1,944,970	922,603
ყულევი	საჯარო სკოლის პროექტირება	GEL	4,782,143	4,052,664	4,052,664
APM	პორტის გაფართოების პროექტი	USD	6,324,375	5,359,640	5,359,640
საბავშო ბაღი სენაკი	საბავშო ბაღის მშენებლობა	GEL	4,100,621	3,797,526	1,153,245
საბავშო ბაღი ფოთი	საბავშო ბაღის მშენებლობა	GEL	3,884,994	3,292,368	1,473,123
ველ მოტორსი	საწყობის და სავაჭრო ობიექტის სამშენებლო სამუშაოები	GEL	341,964	289,800	289,800

2023 წლისთვის კომპანია მთლიან ფოკუსს მოახდენს მოზიდული ინვესტიციების განხორციელებასა და კომპანიის ოპერაციულ სრულყოფაზე.

### **ინსტიტუციონალური განვითარება**

2019-2023 წლების განვითარების გეგმაზე დაფუძნებით, 2022 წელს კომპანიაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ორგანიზაციული და სტრუქტურული ცვლილებები:

შემუშავდა და დაიწყო ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის დანერგვა, რომელიც დაფუძნებულია მოგების ცენტრების საფუძველზე. შესაბამისად, შეიქმნა სამშენებლო დეპარტამენტი და წარმოების დაპერტამენტი

მოგების ცენტრების ეფექტური მომსახურების მიზნით შეიქმნა ხარჯების ცენტრები:

- მარაგების მართვის და ლოჯისტიკის დეპარტამენტი
- მანქანა - დანადგარების მართვის დეპარტამენტი
- ადმინისტრაციული დეპარტამენტი
- ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი
- შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის დეპარტამენტი
- მოხდა დეპარტამენტის ხელმძღვანელების პოზიციების დაკომპლექტება
- შემუშავდა დაგეგმარების და ბიუჯეტირების პროცესების შემუშავება

### **საინვესტიციო აქტივობები:**

#### **კაპიტალის ზრდა**

2019 წელს შეძენილ იქნა ძირითადი საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქციის მიწოდებას, რამაც ნაწილობრივ აღმოფხვრა ტექნიკის ქირით ალების საჭიროება.

პარტნიორობა „გაზელ ფაინენს ჯორჯია“-სთან ხაზს უსვამს „პრაიმ ბეტონის“ შიდა ინსტიტუციონალურ მზაობას მოიპოვოს და ეფექტურად დააბანდოს ინვესტიციები, ასევე მიუთითებს „პრაიმ ბეტონის“ სტრატეგიული განვითარების გეგმის სანდოობას.

#### **საინვესტიციო კაპიტალი**

მეორე მნიშვნელოვან საინვესტიციო მიღწევას წარმოადგენს EBRD - ის DCFT პროგრამის, INOFINN - ის და „აწარმოე საქართველოს“ პროგრამის მონაწილეობით „პროგრედიტ ბანკთან“ გაფორმებული სასესხო-საინვესტიციო ხელშეკრულება 1.7 მილიონ აშშ დოლარის მოცულობით.

სასესხო ხელშეკრულება მიზნად ისახავს ინერტული მასალების სტაციონალური სამსხვრევ დამახარისხებელი ხაზის და ბეტონის ნაკეთობების ქარხნის მშენებლობას 2019-2021 წლებში. სამსხვრევ დამახარისხებელი ხაზი 2019 წლის ივლისიდან სრულად ფუნქციონირებს და შედეგად „პრაიმ ბეტონი“ აწარმოებს რაოდენობრივად და ხარისხობრივად გაუმჯობესებულ პროდუქტს, რომლის თვითღირებულებაც ნაკლებია წინამორბედი დამახარისხებელი ხაზის მაჩვენებელზე.

აღნიშნული ინვესტიციის შედეგად:

- იზრდება წარმოებისა და მისი ხარისხის მოცულობა
- მცირდება დანახარჯები
- იზრდება ენერგოეფექტურობა
- საშუალება გვეძლევა ვიმუშაოთ სამშენებლო მასალების როგორც საცალო, ასევე კორპორატიულ ბაზარზე



**ბაზრის მიმოხილვა:**

**სამშენებლო პროექტები**

სამშენებლო ბაზრის ზრდაზე მნიშვნელოვან პოზიტიურ გავლენას ახდენს სახელმწიფოს მიერ ინფრასტრუქტურის მშენებლობის შესყიდვების ზრდა 2019-2022 წლებში. რაც სამშენებლო სექტორის ყოველწლიურ 8-10% ზრდას იწვევს.

აღსანიშნავია, რომ ამავე წლებში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტებია დაგეგმილი კერძო კაპიტალის მონაწილეობით, როგორებიცაა:

- ნენსკრას ჰიდრო-ელექტრო სადგურის მშენებლობა
- APM ტერმინალის გაფართოება და ახალი ღრმაწყლოვანი ნავმისადგომის მშენებლობა ფოთში
- ფოთის ახალი ნავსადგურის გაფართოების მე-2 ეტაპი
- ანაკლიის პორტის მშენებლობა
- ქუთაისის და სამტრედიის წყალგამწმენდი ნაგებობების მშენებლობა
- რეგინალური ნაგავსაყრელების მშენებლობა
- რეგინალური საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა

**ბაზრის მიმოხილვა (გაგრძელება):**

- მსხვილი საგზაო და ინფრასტრუქტურული მშენებლობები

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანია 2019-2023 წლებში სამშენებლო პროექტების ზრდაზე იქნება ორიენტირებული. 2021 და 2022 წლებში კომპანია უკვე დაკონტრაქტებული და დაგეგმილი პროექტების ბაზაზე გეგმავს საშუალოდ წლიურად 50 მილიონი ლარის გამომუშავებას.

ბაზრის ზრდასთან ერთად იზრდება კონკურანცია როგორც საერთაშორისო ასევე ადგილობრივი სამშენებლო კომპანიებიდან.

ბაზარზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, შემდეგი გარემოებები:

- მშენებლობის კონტრაქტებიდან, ე.წ. პროექტირება-მშენებლობის კონტრაქტებზე გადასვლა
- გამკაცრებული საფინანსო მოთხოვნების წაყენება, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო დამკვეთებისგან
- შრომის კანონმდებლობის გამკაცრება
- მშენებლობის ახალი ტექნოლოგიები.

აღნიშნული ცვლევებების საპასუხოდ პრაიმ ბეტონი გეგმავს შიდა ინსტიტუციონალურ სრულყოფას და მენეჯმენტის რესურსების ზრდას.

**სამშენებლო მასალები**

სამშენებლო მასალების ბაზარი მჭიდროდაა დაკავშირებული ინფრასტრუქტურულ პროექტებში განხორციელებულ ინვესტიციებზე, შესაბამისად ამ სექტორშიც მოსალოდნელია საშუალო წლიური 9% ზრდა.

**რისკების ანალიზი:**

**სტრატეგიული რისკი**

დაგეგმილი ზრდა მოითხოვს მნიშვნელოვანი ადამიანური და მატერიალური რესურსების მობილიზებას, რომლის დეფიციტიც არის ბაზარზე. რესურსებზე ხელმიუწვდომლობა შეაფერხებს გეგმების რეალიზებას.

ამ მიზნით კომპანიის მენეჯმენტის მიზანია მუდმივი ოპტიმიზაცია, ინსტიტუციონალური ზრდის უზრუნველყოფა, რესურსების წყაროების დივერსიფიკაცია.

**კომერციული რისკი**

ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო პროექტების შეჩერება, შეწყვეტა, პროექტებში ინვესტირებული თანხების ვერმიღება.

ამ მიზნით კომპანია ახდენს პროექტების დივერსიფიკაციას სახეობების, ტიპების და დაფინანსების წყაროების მიხედვით. აქტიურად იყენებს საფინანსო დაზღვევის მექანიზმებს. აკეთებს პროექტების რისკ ანალიზებს, როგორც სატენდერო ასევე განხორციელების ყველა ეტაპზე.

**ოპერაციული რისკი**

ოპერაციების რაოდენობის ზრდა, რომელიც თავისთავად გულისხმობს თვისობრივ ცვლილებებს, ითხოვს ოპერაციული პროცესების სწორ გამართვას და პროფესიონალ/გამოცდილ კადრებს.

**ფინანსური რისკი**

ფინანსურ რისკებს შორის განსაკუთრებით გამოსაყოფია:

- - ფულადი სახსრების დეფიციტი
- - სავალუტო რისკები
- ამ რისკების შესამცირებლად, კომპანია აწარმოებს საბიუჯეტო პოლიტიკას, აუმჯობესებს დაგეგმარებას და ხარჯების კონტროლს.
- სავალუტო რისკების დაბალანსირებისთვის, ჩვენ ვგეგმავთ პროექტების დივერსიფიცირებას დაფინანსების წყაროების მიხედვით. სხვადასხვა ვალუტაში არსებული კონტრაქტების საფუძველზე ხდება სავალუტო რისკების მართვის შესაძლებლობების შექმნა.

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2023 წლის 28 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი \_\_\_\_\_

ა. სოკოლოვსკი

ფინანსური მენეჯერი \_\_\_\_\_

გ. ბურდიაშვილი

**კომერციული რისკი**

ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო პროექტების შეჩერება, შეწყვეტა, პროექტებში ინვესტირებული თანხების ვერმიღება.

ამ მიზნით კომპანია ახდენს პროექტების დივერსიფიკაციას სახეობების, ტიპების და დაფინანსების წყაროების მიხედვით. აქტიურად იყენებს საფინანსო დაზღვევის მექანიზმებს. აკეთებს პროექტების რისკ ანალიზებს, როგორც სატენდერო ასევე განხორციელების ყველა ეტაპზე.

**ოპერაციული რისკი**

ოპერაციების რაოდენობის ზრდა, რომელიც თავისთავად გულისხმობს თვისობრივ ცვლილებებს, ითხოვს ოპერაციული პროცესების სწორ გამართვას და პროფესიონალ/გამოცდილ კადრებს.

**ფინანსური რისკი**

ფინანსურ რისკებს შორის განსაკუთრებით გამოსაყოფია:

- - ფულადი სახსრების დეფიციტი
- - სავალუტო რისკები
- ამ რისკების შესამცირებლად, კომპანია აწარმოებს საბიუჯეტო პოლიტიკას, აუმჯობესებს დაგეგმარებას და ხარჯების კონტროლს.
- სავალუტო რისკების დაბალანსირებისთვის, ჩვენ ვგეგმავთ პროექტების დივერსიფიცირებას დაფინანსების წყაროების მიხედვით. სხვადასხვა ვალუტაში არსებული კონტრაქტების საფუძველზე ხდება სავალუტო რისკების მართვის შესაძლებლობების შექმნა.

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2023 წლის 28 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



ა. სოკოლოვსკი

ფინანსური მენეჯერი



გ. ბურდიაშვილი